სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-041335

ქ. თბილისი

5 ნოემბერი 2019

სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის

კურსდამთავრებულ ჯემალ გელაშვილის დავალიანების გადახდის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ჯემალ გელაშვილის განცხადებისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 ნოემბრის №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკმაყოფილდეს სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ჯემალ გელაშვილის თხოვნა, მიეცეს უფლება გადაიხადოს დავალიანების ნაწილი (4863.00 ლარი) და კრედიტების დარჩენილი დავალიანების საფასურის გადახდაში გაეწიოს შეღავათი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**